30/08/2024

MES 2 24 0001034319

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა:
მარინე მჭედლიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა:
მაია ღლიღვაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლა:
გელა ჭანტურია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლა:
ხათუნა გვიმრაძე-გელაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა:
მარინე ასპანიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა:

ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე წიფურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა:

ა) თამარ ხატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახაბერ ჩაკვეტაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) იოსები ლაზარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლა:

ა) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა კაცაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა ბრეგვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა:

ა) თამარ კეშელავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 21 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავmჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავmჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სერგი ჯიქიას ქუჩა N5-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 160 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში (შენობები N1, N2) კლასებისათვის განკუთვნილი ოთახების რაოდენობა და ფართობი არ იძლეოდა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი და მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასდა მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) სტანდარტის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ცირა ნიკოლაშვილმა საბჭოზე წარადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება წინა ავტორიზაციის პირობებში საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9ბ-ში, ხოლო, ამჟამად საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა ახალ მისამართზე, ქ. თბილისი, სერგი ჯიქიას N5-ში. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულ მისამართზე არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლება სკოლას მოპოვებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში (N1, N2) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რა გახდა მიზეზი მისამართის ცვლილების. ექსპერტ ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, მისამართის ცვლილების მიზეზი ფართის მფლობელის ინიციატივა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ესთეტიკური აღზრდის ექსპერტს მიმართა, მეტი დეტალი წარმოედგინა მის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რჩევებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ლედი კუთხაშვილმა, განმარტა, რომ რჩევები ძირითადად ეხებოდა მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებს. მისი თქმით, ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო მუსიკის პედაგოგთან გასაუბრება. რაც შეეხებოდა კონკრეტულად ხარვეზებს, ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო დახვეწილი, კერძოდ, არ მოიცავდა რესურსებსა და კონტექსტ მაგალითებს, შეფასების რუბრიკები არ იყო ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და კომპლექსური დავალების პირობები არ მოდიოდა თანხვედრაში მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი ფრაზები: „ აითვისა“ და „ნაკლებად აითვისა“, არ იძლეოდა ანალიზის საშუალებას. ამასთან, დოკუმენტში არ იყო დაფარული მოსწავლეთა სახელები. საბჭოს წევრმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, შესაბამისობაში მოეყვანა მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები და დაეფარა მათი პირადი ინფორმაცია.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა რომ ინგლისური ენის მიმართულებით წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი დავალება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უნდა შეედგინათ გენეალოგიური ხე, ექსპერტს კი გაცემული ჰქონდა რჩევა, პირადი გენეალოგიური ხის ნაცვლად შეექმნათ გამოგონილი პერსონაჟების სახელწოდებებით. საბჭოს წევრმა, საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით, დაეზუსტებინა, რა მიზნით მისცა აღნიშნული რჩევა სკოლას. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო ლაცაბიძემ, განმარტა, რომ დავალება მოითხოვდა მოსწავლეებს დაეხატათ თავიანთი ოჯახის გენეალოგიური ხე, რომელშიც მოცემული უნდა ყოფილიყო მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაცია: ბებია–ბაბუზე, მშობლებზე და დედმამიშვილებზე. ექსპერტის განცხადებით, ოჯახის გენეალოგიური ხის დახატვის აქტივობა არ ითვალისწინებდა ოჯახების მრავალფეროვნებას და სხვადასხვა სტრუქტურას, აღნიშნულს, შეიძლება გამოეწვია დისკომფორტი იმ მოსწავლეებში, რომლებსაც არ ჰყავდათ დედმამიშვილები, ასევე იჭრებოდა მოსწავლეების პირად სივრცეში და მოითხოვდა სენსიტიური ინფორმაციის გაზიარებას. ექსპერტის თქმით, აღნიშნული გარემოებები გახდა რჩევის გაცემის საფუძველი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა, წარმოედგინა ის გეგმები და პერსპექტივები, რომლებიც ჰქონდა სკოლას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გამოსწორებისთვის.
სკოლის დირექტორმა, მარინე მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ აპირებდა ტრენერის მოწვევას, რომელიც დაეხმარებოდა მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში. ასევე, დაწყებული იყო სკოლის ინფრასტრუქტურული ხარვეზების გამოსწორება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას (ს/კ: 405159590) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, სერგი ჯიქიას ქუჩა N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, სერგი ჯიქიას ქუჩა N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, სერგი ჯიქიას ქუჩა N5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები - პირველი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 16 და 17 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში, ი. ნონეშვილის ქ. N189-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 450 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 - მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
თამარ ხატიაშვილმა გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, სუფთა და ნათელი საკლასო ოთახებით. სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო, რესურს-ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო და ღია სპორტული მოედანი. სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც გამოიხატებოდა ვიზიტის დროს თანამშრომლების დამოკიდებულებასა და ურთიერთმხარდაჭერაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰყავდა მოტივირებული გუნდი, რომლის წევრებიც აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო პროცესებში. სკოლა გეგმავდა და ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს. სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო კლუბი, დებატკლუბი,

სამოქალაქო განათლების კლუბი, მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ კლასგარეშე აქტივობებში. ექსპერტის თქმით, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა, ლაშქრობები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობდა პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როდის ჩაუტარდა სკოლას რეაბილიტაცია და ჰქონდა თუ არა მოპოვებული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორის, მაია ღლიღვაშვილის, განმარტებით, სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2020-2021 სასწავლო წელს, რაც შეეხებოდა მდგრადობის დასკვნას, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა „სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში“. აღნიშნული დოკუმენტის ვალიდურობის დადასტურების მიზნით მიმართა შესაბამის უწყებას, ხოლო რისკების თავიდან აცილებისთვის, ასევე მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ბიუროს და ელოდებოდა ექსპერტთა ვიზიტს.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, , დაინტერესდა მასწავლებელთა ხელფასების საკითხით და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა პროცედურები განახორციელა ე.წ „ზაფხულის ხელფასის“ გაცემამდე.
სკოლის დირექტორის.მაია ღლიღვაშვილის განმარტებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრისგან მიღებული რეკომენდაციები შეისწავლა სკოლის ბუღალტერთან ერთად და მხოლოდ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ გასცეს ხელფასები.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებას მისცა რჩევა, გამოესწორებინა ვებ-გვერდზე არსებული ხარვეზები და პედაგოგიური საბჭოს სხდომები ჩაეტარებინა კანონმდებლობის შესაბამისად.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, შეისწავლეს თუ არა ვიზიტის დროს კომპლექსური დავალებების საკითხები და შეფასების რუბრიკები.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ირაკლი ქობალიას, განმარტებით, ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომპლექსური დავალებების საკითხები, რომლებშიც ფიქსირდებოდა ხარვეზები, თუმცა, ექსპერტის თქმით, პედაგოგებს ჰქონდათ მზაობა აღნიშნული საკითხის გამოსასწორებლად. რაც შეეხებოდა შეფასების რუბრიკებს, მან აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას უფრო ნაკლები ხარვეზი ჰქონდა, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, როგორი იყო დაწესებულების ერთიანი მიდგომა მე-2 სტანდარტთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
სკოლის დირექტორის, მაია ღლიღვაშვილის განმარტებით, სკოლას გააზრებული ჰქონდა ხარვეზები და მის გამოსასწორებლად გადადგმულიც ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს სავალდებულოდ შესასრულებელ პროექტებთან დაკავშირებით მეტი გარემოება წარმოედგინა საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორმა, მაია ღლიღვაშვილმა, განმარტა, რომ სკოლა გეგმავდა მეტად გაემრავალფეროვნებინა პროექტული სწავლება და აღნიშნულის თაობაზე დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, კახაბერ ჩაკვეტაძის, განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია და პედაგოგებს მზად იყვნენ,აღნიშნული მიმართულება, ახალ სასწავლო წელს მეტად განევითარებინათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს, დაეზუსტებინა როგორი ვითარება იყო სკოლაში სამოქალაქო განათლების მიმართულებით.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, ნათია ოზბეთელაშვილის განმარტებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სრულად არ იყო ასახული ის პროექტები და ღონისძიებები, რასაც რეალურად ახორციელებდა სკოლა სამოქალაქო განათლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე, მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო მაღალი თანამშრომლობითი გარემო და დაწესებულება დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:25

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლას (ს/კ:227752777) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების

განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1.2 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N131-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1700 . აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და საკლასო ოთახების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1600 მოსწავლისთვის, ორცვლიანი სწავლების პირობებში.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმები) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი და მე-2 სტანდარტის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლად რეაბილიტირებული, რომელშიც შექმნილი იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო. სკოლას ჰქონდა დიდი და კეთილმოწყობილი ეზო, რომელშიც განთავსებული იყო ორი შემოსაზღვრული სპორტული მოედანი. ექსპერტის თქმით, სკოლაში განხორციელებული პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავდა მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის გამოყენების საშუალებაც ჰქონდათ ასევე მშობლებს, საჭიროების შემთხვევაში. მისივე განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დიანტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას სასადილო ოთახი.
ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა სასადილო ოთახი, რომელიც გაცემული იყო იჯარის ხელშეკრულებით.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, სამოქალაქო განათლების მიმართულებით რომელი სავალდებულოდ შესასრულებელი პროექტი განახორციელა სკოლამ.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ფიქრია მუსერიძის, განმარტებით, სკოლას დამატებითი დოკუმენტაციის სახით გადმოგზავნილი ჰქონდა განხორციელებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ერთ-ერთის შინაარსი მოიცავდა ადგილობრივ თემში არსებული პრობლემების დაკავშირებას მდგრადი განვითარების მიზნებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს“ საგნობრივი კურიკულუმების შინაარსით, კერძოდ, ერთ-ერთი დავალების შინაარსს წარმოადგენდა, რომ „მოსწავლემ უნდა შექმნას საინფორმაციო ბუკლეტი აფხაზეთის ომისა და დევნილთა დახმარების პროგრამის შესახებ“ და მიმართა ექსპერტს, მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტ ფიქრია მუსერიძის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გადმოაგზავნა განახლებული დოკუმენტაცია, რომელშიც აღნიშნული დავალების შინაარსი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „დაწერეთ წერილი თქვენი აფხაზი თანატოლის სახელზე, რომელსაც შესარიგებლად გაუწვდიდით ხელს“.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომდგენელს, როგორი მზაობა ჰქონდა სკოლას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის, გელა ჭანტურიას, განმარტებით, მასწავლებლებს დაწყებული ჰქონდათ მუშაობა დასკვნაში გაცემულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან მიმართებით. მისი თქმით, ახალი სასწავლო წლისთვის სკოლას აღმოფხვრილი ექნებოდა ყველა ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო საჯარო სკოლას (ს/კ:206031676) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 2.2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ტექნოლოგიებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, ექიმის დასაქმების, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ლაბორატორიაში სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბორჯომში, მესხეთის ქუჩა N89-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 70 . აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ინა ბიწაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ბორჯომისა და ბაკურიანის მუნიციპალიტეტის სკოლებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. 2023-2024 სასწავლო წელს, სსიპ-ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისისა და სსიპ-ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლებმა ერთობლივად დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი „მე, ჩვენ მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“, ასევე, ექსპერტის თქმით, ამავე სკოლასა და ბორჯომის ახალგაზრდულ ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომელიც უკავშირდებოდა ეკოლოგიურ პრობლემებს.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 სტანდარტის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით; მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც საჭიროებდა განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში ფიქსირდებოდა გარკვეული უზუსტობები და მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს საბჭოსთვის მეტი დეტალის გასაცნობად.
ექსპერტის, ინა ბიწაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიმართულებებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რჩევები, რომელიც დეტალურად იყო აღწერილი სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო თედორაძემ, განმარტა, რომ თავდაპირველ საგნობრივ კურიკულუმებსა და განახლებულ კურიკულუმებში შეინიშნებოდა ბევრი ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რჩევები და რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით თუ ჰქონდა გადადგმული გარკვეული ნაბიჯები და როგორი იყო სკოლის მზაობა.
სკოლის დირექტორის, ხათუნა გვიმრაძე-გელაშვილის განმარტებით, დასკვნის პროექტის შესწავლის შემდგომ პედაგოგებმა დაიწყეს აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა, გარდა ამისა სკოლა გეგმავდა გარე კონსულტაციების გავლას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო საჯარო სკოლისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო: 18:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157397) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა N89
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა N89

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ადაპტირებული სველი წერტილისა და პირველ სართულზე შესასვლელი პანდუსის მოაჯირის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კეშელავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა 320 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასდა მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა საჭიროებდა გამაგრებით სამუშაოებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, სკოლის შიდა ტერიტორია იყო კეთილმოწყობილი და აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მისივე განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა შიდა და გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტმა, ეკა სიმსივემ, დამატებით განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა კარგად ორგანიზებული კურიკულუმები, ახორციელებდა მრავალ პროექტსა და ღონისძიებას, მან ასევე განაცხადა, რომ სკოლაში შეიმჩნეოდა ძლიერი თანამშრომლობითი გარემო და სკოლა დიდ ყურადღებას აქცევდა კომპლექსური დავალებების განხორციელებას. ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტ მზევინარ დარბაისელის განმარტებით, დაწესებულება მზადაა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას თავდაპირველად მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული 320 მოსწავლე.

ექსპერტ თამარ კეშელავას განმარტებით, სკოლის „პასპორტში“ მითითებული იყო, რომ შენობა გათვლილი იყო 320 მოსწავლეზე, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ თავდაპირველად სკოლა ითხოვდა აღნიშნულ რაოდენობას.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ მისიაში იყო გარკვეული ხარვეზები და მოიცავდა ბუნდოვან ინფორმაციას, კერძოდ, „სკოლის მისიაა შევცვალოთ საქმიანობა ბავშვის მოთხოვნილებების მიხედვით“ და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი..

სკოლის დირექტორის, მარინე ასპანიძის, განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობდა, რომ სასკოლო ცხოვრება მაქსიმალურად მორგებული უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. მისივე თქმით, სკოლის მისია ექვემდებარებოდა გადახედვას.

საბჭოს სხდომის მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ სკოლას მისცა რჩევა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მეტად მკაფიო და მარტივი სიტყვებით აღეწერათ, ვინაიდან შეუძლებელი იყო ამგვარი ქვეტექსტების გააზრება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო შენობის მდგრადობის საკითხთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, მარინე ასპანიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა გამაგრებითი სამუშაოები და მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 18:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას (ს/კ:223104272) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიზაბავრა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიზაბავრა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიზაბავრა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1-ელი სტანდარტის (სკოლის ფილოსოფია), 3.4, 3.5 და 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტთან მიმართებით, განახლებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის, კიბის უჯრედებში პანდუსის მოწყობის, რესურს-ოთახისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა